

ლათავრა სანიძემ

ფონეტიკური დუბლეტები და ზოგი სუფიქსის
ვარიანტები ნახურ ენებში

ენა, როგორც ცნობილია, ცვალებადი მოვლენაა დროსა და სივრცეში. ენის ყველა დონე იცვლება, მათ შორის — ფონეტიკურ-ფონოლოგიურიც.

ფონეტიკური ცვლილებები დუბლეტების გაჩენის ერთ-ერთი გზაა.

ნახურ ენებში ფონეტიკური ცვლილებები და ამ გზით მიღებული დუბლეტები ფართოდ არის გავრცელებული.

სამწერლობო ენებში, ცხადია, ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული პარალელური ფორმების ფონეტიკური დუბლეტების გავრცელება მეტწილად შეზღუდულია. იგი უფრო დამახასიათებელია ზეპირი მეტყველების, დიალექტებისა და უმწერლობო ენებისათვის.

ნახური ჯგუფის უმწერლობო ბაცურ (წოვა-თუშურ) ენასა და ახალ სამწერლობო ჩაჩურ და ინგუშურ ენებში დასტურდება ფონეტიკური დუბლეტები:

1) ნ-ს დაკარგვით სიტყვის ბოლოს: სალიტერატურო ჩაჩური — ზამა ||< ზამან („დრო“)... ეს ლექსემა ჩაჩურში შეთვისებულია, შდრ. არაბ. ზამან, თურქ. ზემან, სომხ. ժաման-ակ, ქართ. ჟამ-ი „დრო“ (აჭარიანი, 1973: 223-224).

2) სიტყვის აუსლაუტში ხმოვანთა ნაწილობრივი და სრული რედუქციით: ბაცბ. მაც ||< მაცჷ < *მაცჷ „თავისუფალი“... სალიტ. ჩაჩნ. გურ || გურა „ჩარჩო“...

3) დიფთონგების ცვლილებით: ბაცბ. შერ ||< შეერ ||< შაერ „თავისი“... ინგ. გაერა ||< გუერა „შემოდგომა“, შდრ. ჩაჩნ. გუერა id. ...

4) ხმოვანთა მონაცვლეობით, მაგალითად: წიწმოტ ||< ქართ. წიწმატ-ი... ჩაჩნ. გოვრ ||< გავრ „ცხენი“...

5) მეტათეზისით: ბაცბ. ლაფსინრ ||< ლაფსინრ „მშრალი“... და სხვ.¹ ფონეტიკური დუბლეტები ვლინდება ნახურ ენათა აფიქსებშიც (ბრუნვათა დაბოლოებებში).

ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების ვარიანტებია ფონეტიკური დუბლეტები:

1) -V⁶ ||< -V¹ნ² ინგ. ლოამ „მთა“ — ნათ. ლოამ-ა⁶ ||< ლოამა-ნ... (მალსაგოვი, 1941: 37)...

2) -V ||< -V⁶ ჩაჩნ. სახ. ნცანა „მამალი“ — ნათ ნცანი-ე ||< ნცანი-ე⁶... (დე-

¹ აქ მხოლოდ ამ შემთხვევებითა და თითო ნიმუშით შემოვიფარგლეთ.

² V-ით აღვნიშნავთ ხმოვანს.

შერიევი, 1963: 423)... ინგ. სახ. ვტორდგ „ურემი“ — ნათ. ვტორდ-ა ||< ვტორდ-გ⁶ (მალსაგოვი, 1941: 48).

3) Ø ||< -V⁶ ინგ. და „ფოთოლი“ — ნათ. ღან ||< ღანა-ა⁵, მიც. ღან-ნა, ერგ. ღან-ჟო (იმნაიშვილი, 1940: 110)...

4) Ø ||< -V⁶ ქისტ. სახ. ფე „კედელი“ — ნათ. ფინ ||< ფინ-ი < ფინ-ინ (ფარეულიძე, 1986: 96).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტები წარმოდგენილია ფონეტიკური დუბლეტებითაც:

1) V⁶ >|| -V⁶ : ბაცბ. სახ. სო „მე“ — მიც. სონ || სონ⁶...

2) ინგ. -V⁶ა || -ა⁵ : ინგ. სახ. ვორდა „ურემი“ — მიც. ვორდა-ნა || ვორდ-ა (იმნაიშვილი, 1940: 134; დოლაჭოვა, 1967: 215).

3) ინგ. -V⁶ნა || -ა : სახ. მაძრა „მამაცი“ — ნათ. მაძრაჩუ-ნა || მაძრაჩო-ა...

4) ინგ. -V⁶ა || Ø : ინგ. ში „ორი“ — მიც. შინნ-ე || შინნ-ე-ნა (მალსაგოვი, 1963: 34)...

5) -V⁶ა || -V⁶ნა : ინგ. სახ. ვტორდგ „ურემი“ — მიც. ვტორდ-ანგ || ვტორდ-გნგ (მალსაგოვი, 1941: 48)... ქისტ. შქალგ „კასრი, კოდი“ — მიც. შქალგ-ენა || შქალგ-ენნა (ფარეულიძე, 1986: 81)...

მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტებია -Vგა, -მე, რომლებიც ფონეტიკური დუბლეტების სახითაც გვხვდება: ინგ. ბართ „თანხმობა, პირი“ — მიმართ. ბართ-აგა || ბართ-მე (მალსაგოვი, 1941: 73), ქისტ. ტურ „ტურა“ — მიმართ. ტურან-აგა || ტურან-მე (ფარეულიძე, 1986: 70)... სალიტ. ჩაჩნური დე „მამა“ — მიმართ. დე-გა || დე-გე || დე (დემერიევი, 1963: 436)...

ადგილობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტთა ფონეტიკური დუბლეტებია ჰ. > || Ø : ბაცბ. ნიყ. „გზა“ — ადგილობითი ნაყ-აჰ, >|| ნაყ-ა... და სხვ.

ფონეტიკური თავისუფალი ვარიანტები ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთსა და იმავე პოზიციაში (პარალელური ფორმები) შედგება ნორმის (დამატებითი დისტრიბუციის პრინციპის) დარღვევისა (ΠΘС, 1993: 30, 130, 553; უთურგაიძე, 1986: 33; ჯორბენაძე, 1988: 21).

ფონეტიკურ ცვლილებას საყოველთაო ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ — არა ყოველთვის. ცვლილების საყოველთაობას (აბსოლუტურობას) არღვევს სხვადასხვა (სოციალური, ასაკობრივი, სემანტიკური, ფონეტიკური გარემო...) ფაქტორი (ΠΘС, 1993: უთურგაიძე, 1986; ჯორბენაძე, 1998). ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ფორმის შენარჩუნებას ხელს უწყობს პარალელური ფორმების გავრცელება თქმაში, დიალექტში, ენაში.

ნახური ენების აბსოლუტივში (resp. სახელობით ბრუნვაში) აუსლაუტის ფონეტიკური ცვლილება V⁶ > V⁶ > V არსებითად აბსოლუტური ხასიათისაა; ბაცბურში უფრო იშვიათად ხდება ნ-ს სრული რედუქცია (გაგუა, 1983: 193). ჩაჩნური ენის ზოგ დიალექტსა (ქისტურ, შატოურ...) და ინგუშურ ენაში V⁶ > V და V⁶ (> V) > Ø (ფარეულიძე, 1986: 71; თიმაევი, 1968: 29; იმნაიშვილი, 1977), V⁶ (> V⁶) > V > Ø არ არის უცხო არც ბაცბურისათვის (გაგუა, 1983: 182).

გამონაკლისს წარმოადგენს ერთმანცვლიანი სიტყვები ჩაჩნურ სალიტერატურო ენასა და ბარის დიალექტში, სადაც აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ ნ

შემონახულია (იმნაიშვილი, 1977: 31). **ფ** თანხმოვანი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სპორადულად დასტურდება აგრეთვე ბაცბურ ენაში. ა. შიფერენის ნაშრომზე „Versuch über die Thusch-Sprache oder die kistische Mundart in Thuschetien, St. Petersburg. 1856“ დართულ ლექსიკონში **ფ** ბოლოთანხმოვანი ხმოვნისმომდევნო პოზიციაში სრული სახით არის წარმოდგენილი რამდენიმე სიტყვაში (ჯოლბორდი, 1978: 196), რომელთაგან ორი ორმარცვლიანია, ორივე — ქართულიდან ნასესხები — ანბან < „ანბანი“ და ზაფრან < „ზაფრანი“, ეს სიტყვები ახალი ნასესხები ჩანს, შდრ. ერთმარცვლიანთაგან ქართული ენიდან ძველი ნასესხები სიტყვები: გონ < „გონი, გონება“, ღან „სიზმარი“ (< ღამე)...

ერთმარცვლიან სიტყვებში **ფ**-ს შემონახვას ხელი შეუწყო **ფ** > **ფ** > **ფ** პროცესის დაგვიანებამ ასეთ (ერთმარცვლიან სიტყვებში) ფონეტიკურ გარემოში და პარალელური ფორმების გავრცელებამ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს სახელის ბრუნვის ფორმებში:

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ამოსავალი ფორმაა -**ფ**. 1) თანამედროვე ინგუშურ ენაში ნათ. ბრუნვის დაბოლოებად მხ. რიცხვში დღესდღეობით გვაქვს -**ფ** (სახ. „ჭუე „ლობიო“ — ნათ. ჭუე-**ფ**, მიც. ჭუე-ნა, ერგ. ჭუე-ვო... (იმნაიშვილი, 1940, 87), რაც შეპირობებულია, ერთი მხრით, გარკვეული ფონეტიკური გარემოცვით (ერთმარცვლიანი, დიფთონგზე დაბოლოებული სახელები), მეორე მხრით, იმით, რომ ინგუშურში ნათ. ბრუნვის ნიშნის ვარიანტები ფონეტიკური დუბლეტებია — **ფ** || **ფ** (იხ. ზემოთ) ერთი და იმავე პირის მეტყველებაში,¹ რაც ხელს უწყობს **ფ**-ს შენარჩუნებას. ამავე მიზეზით არის შემონახული ინგუშურისა და ჩაჩნურის ნათ. ბრუნვის ფორმაში **ფ**, სადაც იგი ისტორიულად ფუძის კუთვნილებას წარმოადგენს, ესაა ხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც **ფ**-ბოლოთანხმოვნიანი სახელებისაგან მომდინარეობენ (იმნაიშვილი, 1940: 71-86). ამჟამად **ფ**-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევენ (მალსაგოვი, 1963: 23-24; დეშერიევი, 1963: 426; დოლაქოვა, 1967: 214), რასაც ნაკლებად სარწმუნოს ხდის ის ფაქტი, რომ **ფ** თანხმოვანი ყველა სხვა ბრუნვაში იჩენს თავს (ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს ნათესაობით ბრუნვაზე დამყარებულ ან სავრცობიან ორფუძიან ბრუნებასთან (იმნაიშვილი, 1942: 210), მაგალითად: ჭუო < *ჭუნ „ნაკელი; სკორე“ — ნათ. ჭუნ < *ჭუნ-**ფ**, მიც. ჭუნ-ნა || ჭუნ-ნა, ერგ. ჭუნ-ვო < *ჭუნ-ვო... ბრუნების ამ სახეობაში ვლინდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტი \emptyset .

2) **ფ** გვევლინება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტად თანამედროვე სალიტერატურო ჩაჩნურ ენასა და ინგუშურში. იგი განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ჩაჩნურ ენაში (მაცევი, 1961: 578-581; დეშერიევი, 1963: 420-425). **ფ** და \emptyset -ის გვერდით **ფ**-ს შემორჩენის ერთ-ერთი ხელშემწყობი ვითარება ის არის, რომ ინგუშურსა და ჩაჩნურში გვხვდება დუბლეტები **ფ** || **ფ** და **ფ** || \emptyset (იხ. ზემოთ).

3) ქისტურ მეტყველებაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ერთ-ერთი ვარიანტია \emptyset , მაგალითად: სახ. კურ „ბოლი; კვამლი“ — ნათ. კური < კური-ე < კური-ე⁵ < კური-ენ, მიც. კური-ენა, ერგ. კური || კური-ევ... (ფარეულიძე, 1986:

¹ ქვემოთაც, ყველგან, დუბლეტები (პარალელური ფორმები) ერთისა და იმავე პირის მეტყველებაში იჩენს თავს ერთსა და იმავე თქმაში, დიალექტში, ენაში.

77-83, 102-106). აქვე შეინიშნება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **V** ვარიანტიც, მაგალითად: მუჯ „ქერი“ — ნათ. მუჯ-ი < *მეჯ-ინ < *მაჯ-ინ, მიც. მეჯ-ინნ, ერგ. მეჯი-ვო... (ფარულაძე, 1986: 92). ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტი **V** რომ ყველგან არ გადადის \emptyset -ში, ამის ერთი მიზეზთაგანია ქისტურში დადასტურებული **V** || \emptyset დუბლეტები (იხ. ზემოთ).

ქისტურის მსგავსად, ინგუშურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტებია \emptyset და **V**, ამასთანავე \emptyset || **V** (იხ. ზემოთ) და **V** > \emptyset პროცესი არ არის დასრულებული: სახ. გაჭრ „ცხენი“, ნათ. გოჭრ-ჰ, შდრ. სიხტო „სიჩქარე“ — ნათ. სიხტონ- \emptyset , მიც. სიხტონ-ნ, ერგ. სიხტონ-თა...

ამრიგად, ნახურ ენებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **V6** > **V⁶** > **V** > \emptyset , მიუხედავად ამისა, ჯერაც გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტები: **V6**, **V⁶**, **V** სახელის რამდენადმე განსაზღვრულ ფუძეებთან, რასაც ამასთანავე განაპირობებს დუბლეტების — **V6** >|| **V⁶**, **V⁶** >|| **V** >|| \emptyset გავრცელება.

არ არის დადგენილი, თუ როდინდელია **V6** > **V⁶** > **V** > \emptyset პროცესი. ამ ენათა მასალის პირველი ჩანაწერებისა (XVIII ს. — იხ. D. Iohann Anton Guldensädt, *Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge*. St.-Petersburg. Bd. I (1787), XXXIV, Bd. II (1791) და გამოკვლევების (XIX ს. — იხ. И. Цискаришвили, *Краткая Тушино-цовская Грамматика вновь составленная священником Гронцкой Тушинской Алванской церкви, тушином Иовом Цискаровым* (ხელნაწერი); A. Schiefner, *Versuch über die Thusch-Sprache oder die kistische Mundart in Thuschetien*, St. Petersburg, 1856) მიხედვით ეს პროცესი ფაქტია XVIII საუკუნეიდან.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ნახური ენების **მიცემითი ბრუნვის** ნიშნის ვარიანტებში: ინგუშურში, ქისტურში... მიცემითი ბრუნვის ნიშნის ამოსავალი ფორმა -**V⁶ნ** > -**V⁶ნნ**, **ა**, \emptyset -ს სიტყვის გარკვეულ პოზიციაში, მაგრამ დაცულია მიცემითი ბრუნვის ნიშნის -**V⁶ნა** ვარიანტიც:

1) მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია -**V⁶ნნ**, მაგალითად: ქისტ. სახ. ხოთა „ტალახი“ — ნათ. ხოთა-ონ, მიც. ხოთა-ონნ; ერგ. ხოთა-ოგ...

2) მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია -**ა**, ჩვეულებრივ, თანხმოვანფუძიან სახელებში, მაგალითად: ინგ. სახ. ქულგ „ხელი“ — ნათ. ქულგ-ჰ, მიც. ქულგ-**ა** < *ქულგ-ა-ა < ქულგ-ანა, ერგ. ქულგ-ჰო...

3) მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია \emptyset , მაგალითად: ინგ. სახ. ცჰაჰ „ერთი“ — ნათ. ცჰანნე, მიც. ცჰანნე, ერგ. ცჰანნე...

4) იქ, სადაც -**V⁶ნა**-ს მოველოდით, იშვიათად -**V⁶ნა**-ც გვხვდება: ინგ. სახ. ლოამ „მთა“ — ნათ. ლოამ-ჰნ, მიც. ლოამ-ჰნნ, ერგ. ლოამ-ჰო...

5) თუმცა ინგუშურის ხმოვანფუძიან სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტად -**ა**-ც წარმოჩნდება, მაგრამ მეტწილად დასტურდება ამოსავალი ფორმა -**V⁶ნა**, მაგალითად: სახ. ღაღ „ციხე“ — ნათ. ღაღიდი, მიც. ღაღიდი-**ნა**, ერგ. ღაღიდე-ვო...

-**V⁶ნა**-ს მიც. ბრუნვის ვარიანტად შენარჩუნებაში არც თუ უმნიშვნელო როლს ასრულებს მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური დუბლეტების -**V⁶ნა** || -**ა**, -**V⁶ნა**, -**V⁶ნა** || \emptyset (იხ. ზემოთ) გავრცელება.

ბაცბურის I და II პირის ნაცვალსახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშანი **V6**

($\langle V\mathfrak{b} \rangle > V^{\mathfrak{b}}$, მაგალითად: სახ. სო „მე“ — ნათ. სე^ნ, სად^ნ, ერგ. ას, მიც. სონ, სონ^ნ... დანარჩენ სახელებში (გარდა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები-სა) მიცემითი ბრუნვის ნიშნის $-V\mathfrak{b}$ ვარიანტში \mathfrak{b} თანხმოვანს დღემდე არ განუცდია რედუქცია (მაგალითად: სახ. ბადერ „ბავშვი“ — ნათ. ბადრ-ე^ნ, ერგ. ბადრ-ეგ, მიც. ბადრ-ენ...), რაც აიხსნება იმით, რომ: 1) მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია გარკვეულ სახელებში ოდენ \mathfrak{b} თანხმოვანი (წინამავალი ხმოვნის გარეშე), მაგალითად: სახ. ვუხ „რა“ — ნათ. სტინ-ი^ნ < სტენ-ი^ნ, მიც. სტენ-ნ, სტენ-ან... სახ. სტაკ „კაცი“ — მიც. სტაკ-ან^ნ || სტაკ-ონ || სტაკ-ნ... 2) $-V\mathfrak{b}$ დაბოლოების გვერდით ემფატიკურ მეტყველებაში ვლინდება $-V\mathfrak{b}\mathfrak{a}$ (შიფერი, 1956: 12); 3) I და II პირის ნაცვალსახელთა მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური დუბლეტებია $-V\mathfrak{b} || V^{\mathfrak{b}}$ (შდრ. გაგუა, 1983: 254-255¹).

ინგუშურსა და ჩაჩნურში (სალიტერატურო ჩაჩნურსა და ჩაჩნურის დიალექტებში — ბარის, ქისტურში, ჭებერლოურში, აჯიურში, მელქიურში...) **მიმართულებითი ბრუნვის** ვარიანტი $-მე < -მა < -გა < -გო$ (შდრ. ბაცბურში არის მიმართულებითი ბრუნვის მხოლოდ $-გო < -გო$ ნიშანი): ჩაჩნურსა და ინგუშურში, განსაზღვრულ პოზიციაში — სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის და სიტყვის ბოლოს ხმოვნის შემდეგ $გ > ი, \emptyset$ ($გ > ი, \emptyset$ -ის შესახებ იხ. სომერფელტი, 1947: 142; აბავეი, 1959: 142; იმნაიშვილი, 1977: 275), მაგრამ ჩაჩნურსა და ინგუშურში $-V\mathfrak{b}\mathfrak{a}$ -ც რჩება მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტად.

თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებში მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია მეტწილად $-მე$: ა) თანხმოვანფუძიან სახელებში, მაგალითად: სახ. სთაგ „კაცი“ — მიმართ. სთაგ-მე < სთაგ-იგე... სახ. რამზან (საკუთარი სახელი) — მიმართ. რამზან-მე (სალიტ. ჩაჩნური), შდრ. სახ. რამზან — მიმართ. რამზან-აგე (ჩაჩნური ენის მელქიური კილო (სალამოვა, 1985: 17); ბ) ხმოვანფუძიან სახელებში, მაგალითად: სახ. ასა „ხბო“ — მიმართ. ას-მე < ასა-გა... (სალიტ. ჩაჩნური).

მიუხედავად იმისა, რომ $-მე < -V\mathfrak{b}\mathfrak{a}$ -საგან, ჩაჩნურის როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებში მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტად გვევლინება $-V\mathfrak{b}\mathfrak{a}$ -ც: 1) გრძელ ხმოვანზე ან დიფთონგზე დაბოლოებულ არსებით სახელებში, მაგალითად: სახ. დნ „მამა“ — მიმართ. დნ-გა... (სალიტ. ჩაჩნ., ბარის კილო), სახ. ნოდ „ვარცლი“ — მიმართ. ნოდ-გა... (სალიტ. ჩაჩნ.); 2) ჩაჩნური ენის თანხმოვანფუძიან სახელებში: ა) დამოუკიდებელი ზედსართავის ტიპის (ისევე, როგორც ზედსართავის) ბრუნებაში, მაგალითად: ჰარხტო „მეწისქვილე“ — მიმართ. ჰარხტო-ჩტ-ნ-გა...; ბ) რიცხვით სახელებში: შინ „ორი“ — მიმართ. შინ-გა... (სალიტ. ჩაჩნური); გ) ნაცვალსახელებში, მაგალითად: ი || იზა „ის“ — მიმართ. ცტნ-გა... (სალიტ. ჩაჩნური); დ) მრავლობით რიცხვში, სადაც $გა > || ქა$ -ს მრავლობითი რიცხვისნიშნისეულ

¹ ომონიშის თავიდან აცილება არ უნდა იყოს მიზეზი მიცემითი ბრუნვის $-V\mathfrak{b}$ ნიშანში \mathfrak{b} თანხმოვნის რედუქციისა. რიცხვით სახელებში დღესაც შემონახულია მიცემითის \mathfrak{b} ნიშანი, თუმცა მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვისათვის საერთოომონიშური ფორმები არ გვხვდება, მაგალითად: ბაცბ. სახ. ცჰა „ერთი“ — ნათ. ცჰან-ი^ნ, ცჰან-ავ, მიც. ცჰან-ან, ცჰან-ნ..., სახ. შინ „ორი“ — ნათ. შინ-ი^ნ, ერგ. შინ-ავ, მიც. შინ-ან, შინ-ნ...

თანხმოვანთან — ყრუ შ ბგერასთან პროგრესული ასიმილაციის შედეგად, მაგალითად: მხოლოდობითი რიცხვი, სახ. ბრუნვა ნალ „ტახი“ — მრ. რ., სახ. ნელ-აშ — მიმართ. ნელ-აშ-ქა < ნელ-აშ-გა (სალიტ. ჩაჩნ., ბარის კილო), შდრ. ლევაწიგ „მაღალი“, მრ. რ. მიმართ. ლევაწი-ნ-გა — მრ. რ. სახ. ლევაწ-აშ — მიმართ. ლევაწა-რ-გა || ლევაწი-შ-ქა... (სალიტ. ჩაჩნური).¹

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩაჩნურში -გა, ჩვეულებრივ, განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოში იჩენს თავს, რასაც ხელს უწყობს მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტების ფონეტიკური დუბლეტების გავრცელება (მიმართ. ბრუნვის ნიშნის ვარიანტების — ფონეტიკური დუბლეტების შესახებ იხ. ზემოთ).

ამდენად, ფონეტიკური პროცესების — **ნ** > **ღ** და **გ** > **ღ** ბოლომდე გატარებას ანელებს განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოცვასთან ერთად ფონეტიკური დუბლეტების გავრცელება.

გ > **ღ**, რომელიც ჩაჩნურსა და ინგუშურში გვხვდება და ბაცბურისათვის კი არ არის დამახასიათებელი, შედარებით ახალი ფონეტიკური პროცესია: **ნ** > **ღ**-ს დასტურდება სამსავე ნახურ ენაში და ეს პროცესი უფრო ადრე ჩანს დაწყებული **გ** > **ღ**-თან შედარებით, მაგრამ ჯერ კიდევ არც **გ** || **ღ** და არც აგრეთვე **გ** > || **ღ** ფონეტიკური პროცესი დასრულებული არ არის, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ზოგი აფიქსის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტის შენარჩუნების ერთ-ერთი მიზეზია.

ლიტერატურა

აბაევი 1959 — Б. И. Абаев, Осетино-вейнахские лексические параллели. — Известия ЧИНИИИЯЛ, т. I, вып. 2, Грозный, 1959.

აჭარიანი 1973 — հրաչյա Աճարյան, հայերեն արմատական բառարան, հ. II, Երեւան, 1973.

გაგუა, 1983 — Русудан Гагуя, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени. — ЕИКЯ, т. X, Тбилиси, 1983.

დუშერიევი 1963 — Юнус Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963.

დოლაქოვა 1967 — Райса Долакова, ингушский язык, в сб. "Языки народов СССР", IV, Иберийско-кавказские языки", Москва, 1967.

თიმაევი 1968 — Апти Тимеав, Некоторые особенности склонения имен существительных в шатойском говоре, Ученые записки, ЧИГПИ, №28, Серия лингвистическая, вып. I, Грозный, 1968.

იმნაიშვილი 1940 — ძირითადი და თანდებულისანი ბრუნვები ინგუშურში, 1940 (ხელნაწერი).

იმნაიშვილი 1942 — ძირითადი და თანდებულისანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში, ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1942.

¹ დუბლეტების ფონზე ნახურ ენათა აფიქსების ამოსავალი სახის შემორჩენის სხვა შემთხვევები აქ არ არის განხილული.

იმნაიშვილი 1977 — Давид Имнайшвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тбилиси, 1977.

ЛЭС — Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990.

მალსაგოვი 1941 — Дошлуко Мальсагов, Чечено-ингушская диалектология и пути развития чечено-ингушского литературного (письменного) языка, Грозный, 1941.

მალსაგოვი 1963 — Заурбек Мальсагов, Грамматика ингушского языка, Грозный, 1963.

მაციევი, 1961 — Ахмат Мациев, Краткий грамматический очерк чеченского языка, Чечено-русский словарь, Москва, 1961.

სალამოვა 1985 — Раиса Саламова, Мелхинский говор чеченского языка, Автореферат, Махачкала, 1985.

სომერფელტი 1947 — Alf Sommerfelt, Études comparatives sur le Caucasicque du nord-est, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, B, XIV, Oslo, 1947.

უთურგაიძე 1986 — თედო უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.

ფარეულიძე 1986 — როსტომ ფარეულიძე, არსებით სახელთა ბრუნების საკითხები ჩაჩნურში (ქისტური მეტყველების მონაცემთა მიხედვით), 1986 (ხელნაწერი).

ჯობორდი 1987 — ა. შიფნერი და წოვა-თუშური ენის ფონეტიკის საკითხები, იკე, XX, თბილისი, 1978.

ჯორბენაძე 1998 — ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2, თბილისი, 1998.

LATAVRA SANIKIDZE

Phonetic Doublets and some Variants of Suffix in the Nakh Languages

S u m m a r y

Phonetic doublets **n** || **ŋ** || **∅**; **o** || **õ** || **∅**; **aj** || **ej** || **e**; **i** || **a**; **o** || **a**; **aj** || **a**... are spread in the Nakh (Bats, Chechen, Ingush) languages and dialects. Phonetic doublets are also manifested in affixes.

Existence of phonetic doublets together with phonetic surrounding helps to preserve archaic forms of case endings with **n**-consonant (a genitive case marker, a dative case marker -**ᶑna**) and **g**-consonant (an allative case marker -**ᶑga**).